სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #334/06

ქ.თბილისი **2023 წელი**

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ გიორგი ედიშერაშვილის (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) სახით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მიერ დაფინანსებული სტუდენტური პროექტის „ხანის ჩანჩქერის მონახულება“ ჩასატარებლად გიდის მომსახურების (CPV63510000- ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. გაწეული მომსახურების სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 192.00 (ას ოთხმოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულს ომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სტუდენტური პროექტის ხელმძღვანელი ანი ქომეთიანი

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის/გაწეული მომსახურების და მასთან დაკავშირებული ხარისხის კონტროლს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე, უფლებამოსილი პირ(ებ)ია: თსუ-ს საფინანსო დეპარტამენტის უფროსი - მანონი ჯოჯუა

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს სტუდენტური პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ მარშრუტზე.
6.2. მომსახურების გაწევის თარიღია 2022 წლის 29 აპრილი.
6.3. ღონისძიება უნდა ჩატარდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებისა და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, ასევე გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

7. ხელშეკრულების პირობების შესრულება

7.1. თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.02%- ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა და დააკისროს მას საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.
8.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.
8.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.
8.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულვადებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
9.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;
ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
9.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანგარიშსწორება.
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა)პროექტის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების უსაფრთხოება.
ბ) უზრუნველყოს გასვლითი ტურის შუფერხებლად ჩატარება.
9.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების

გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.
11.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში:
ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.
ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
13.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდბლობით დადგენილ წესებს.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.
14.2მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.3არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.4ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
14.5 ინტერესთა კონფლიქტი: შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:

ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები:

ეკონომიკური შემოსავლები

საიდენტიფიკაციო კოდი:204864548

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.04.27 11:28:21 +04'00'

მიმწოდებელი

ფ/პ გიორგი ედიშერაშვილი

მისამართი:

ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 62ა

საბანკო რეკვიზიტები:

სს„თიბისი ბანკი“

ა/ა N: GE75TB7712845061600012

ბანკის კოდი:TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:01023004107

Giorgi Edisherashvili

Подписано цифровой подписью: Giorgi Edisherashvili
DN: cn=Giorgi Edisherashvili, serialNumber=PNOGE-01023004107, givenName=Giorgi, sn=Edisherashvili, o=Citizen, c=GE
Дата: 2023.04.27 10:59:46 +04'00'

/ გ. ედიშერაშვილი/

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი